ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი#3

13 აპრილი 2021 წელი

ქ.ბაღდათი 10.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: გურამი კიკნაველიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გიორგი რობაქიძე
გრიგოლ ტაბეშაძე
შალვა დათუაძე
გია სახამბერიძე
მაია კბილაშვილი
ტარიელ ჩაკვეტაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თ/მოადგილე: ნოდარ გიორგიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძე

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი - რამაზ მეფარიშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს. ლერი გუმბერიძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ გურამი კიკნაველიძემ წარმოადგინა საკითხი: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა: ლერი გუმბერიძემ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თ/მოადგილე: ნოდარ გიორგიძემ კითხვით მიმართა ლერი გუმბერიძეს, შესაბამისი პროგრამა ბაღდათის მუნიციპალიტეტის და „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების" ერთობლივი პროექტი ხომ არსებობს, რომ გავეცნოთ უფრო დეტალურად

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძემ უპასუხა ნოდარ გიორგიძეს, რომ შემიძლია უფრო დეტალური განხილვისათვის პროგრამა ბიუროს სხდომაზე წარმოვადგინო

კომისიის წევრი: შალვა დათუაძემ განაცხადა, რომ რას ემსახურება ეს პროექტი „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების" მიერ რა უნდა განხორციელდეს, ბუნდოვანია მე ამ საკითხის მიღების წინააღმდეგი ვარ.

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კითხვით მიმართა ლერი გუმბერიძეს, რომ 15.0 ათასი ლარით რისი შემცირება მოგვიწევს

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძემ უპასუხა გურამი კიკნაველიძეს, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტის და „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების" ერთობლივი პროექტის განხორცილებისათვის საჭირო თანხა 15.0 ათასი ლარით შემცირდება „სასურსათო პაკეტების უზრუნველყოფა (06 02 19) რომელიც დაემატება „ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებას" (05 03)

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მიიღოს კომისამ და საკითხი გატანილ საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მიიღო კომისამ და საკითხი გატანილ საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე:6 **წინააღმდეგი:1 შალვა დათუაძე**

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძე